პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ ი   რ ე კ ო რ დ ი

საბჭოთა მძლეოსნების შესანიშნავი მიღწევები ლაიპციგსა და ერევანში

✦

სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. ტერ-ოვანესიანი, თ. პრესი და ტ. შჩელკანოვა.

✦

12 ივნისი
შაბათი,
1962 წ.
№ 114 (1963)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

ერევანი. (ტელეფონით). ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში სომხეთის ყოფილი რეკორდსმენის, სამამულო ომში დაღუპულ ა. სახარიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ერევნის ღია ჩემპიონატი. საორგანიზაციო კომიტეტმა შეჯიბრებაზე მოიწვია ჩვენი ქვეყნის რამდენიმე უძლიერესი მძლეოსანი, რომელთა შორის იყვნენ ნ. პონომარიოვა, ი. ტერ-ოვანესიანი და სხვები.

ბადროს ტყორცნაში ნ. პონომარიოვამ აჩვენა 51 მ 53 სმ და პირველი ადგილი დაიკავა. სომხეთის ჭაბუკთა რეკორდით აღინიშნა 100 მ რბენა. გამარჯვებულმა 16 წლის ა. ბროიანმა დისტანცია გაირბინა 10,7 წ.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად ევროპის რეკორდსმენს ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში ი. ტერ-ოვანესიანს. ფინალამდე საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდა მას, მაგრამ, როგორც ჩანს, მთელი ძალები სწორედ უკანასკნელი ცდებისათვის შემოინახა. ფინალური შეჯიბრების პირველ ცდაზე ი. ტერ-ოვანესიანმა აჩვენა 8 მ 14 სმ. მეორე ცდაზე კი გადახტა 8 მ 31 სმ-ზე და გააუმჯობესა ამერიკელ რ. ბოსტონის მსოფლიო რეკორდი.

საუკეთესო იყო მსოფლიოს ახალი რეკორდსმენის მესამე ცდა, მაგრამ არენის დროს ფეხი დააბიჯა საკონტროლო ხაზს და ნახტომი არ ჩაეთვალა.

• • •

შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მძლეოსნებმა ლაიპციგში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზეც. ქალთა შორის ბირთვის კვრაში თავი ისახელა მსოფლიო რეკორდსმენმა თ. პრესმა. მან ერთ-ერთ ცდაზე ბირთვი ჰკრა 18 მ 55 სმ-ზე და საგრძნობლად გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

მას არ ჩამორჩა თანაგუნდელი ტ. შჩელკანოვაც. ლენინგრადელმა სიგრძეზე მხტომელმა იერიში მიიტანა საკუთარ მსოფლიო რეკორდზე და ერთ-ერთ ცდაზე მიაღწია კიდევაც საწადელს, როცა დაძლია 6 მ 53 სმ. სამი რეკორდი ერთ დღეში საბჭოთა სპორტსმენების საუკეთესო განაცხადია მიმდინარე სეზონის მთელ რიგ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის.

„მეტალურგი" (რუსთავი)-„ალგა" (ფრუნზე) — 1:1

განვლილ კვირას რუსთავში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა მეტალურგებმა მიიღეს ფრუნზელი ფეხბურთელები.

მატჩის დასაწყისი მარცხიანი გამოდგა მასპინძელთათვის. მარცხენა მცველმა კვინიკაძემ ნაჩქარევად მიაწოდა ბურთი მეკარე თ. ქოჩიაშვილს, მაგრამ გადაცემა არაზუსტი გამოდგა. „ალგის" ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მოუსწრო ბურთს და გაგზავნა იგი კარში— 1:0.

ეს მოხდა მე-9 წუთზე. მდგომარეობის გამოსასწორებლად რუსთავის ფეხბურთელებს დრო საკმაოზე მეტი ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელები ვერ იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტებს. ზედიზედ ორი ბურთი დაკარგა ჰკუასელმა. ხოლო გ. ქოჩიაშვილის მიერ მე-40 წუთზე ძლიერად დარტყმული საჯარიმო აილო მეკარემ.

კიდევ უფრო აშკარა იყო „მეტალურგის" უპირატესობა მეორე ტაიმში და მხოლოდ 81-ე წუთზე იქნა გატანილი საპასუხო გოლი: ქოჩიაშვილმა მოატყუა „ალგის" ცენტრალური მცველი, მეკარეს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი და ანგარიში გათანაბრებულ იქნა. ამის შემდეგ ჰკუასელი პირისპირ დარჩა ცარიელ კართან, მაგრამ ბურთი მოახვედრა ძელს. 1:1.

მ. მინაშვილი

საკითხი გადაწყვიტა ბურთების შეფარდებამ

წყალბურთში „ადრიატიკის თასის" გათამაშებაში რომელიც ბელგრადში მოეწყო, იტალიის გუნდმა უარი თქვა იუგოსლავიის პირველ ნაკრებთან შეხვედრაზე. იტალიელებმა თავიანთი უარის მოტივად წყლის დაბალი ტემპერატურა დაასახელეს. დებულების თანახმად გუნდს დამარცხება მიესაჯა.

პირველი ადგილის ბედი უნდა გამოერკვია ლიდერების — იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩს. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა 4-მეტრიანი საჯარიმოდან თამაშის მე-3 პერიოდში პ. მშვენიერაძემ გაათანაბრა ანგარიში და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ჩვენი ქვეყნისა და იუგოსლავიის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ მასპინძლებს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ და პირველი ადგილიც მათ ხვდათ წილად.

ტოკიოს ოლიმპიადის პატივსაცემად

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 59-ე სესიის დამთავრების შემდეგ ტოკიოს გუბერნატორმა რიუტარო აძუმამ და XVIII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ძიუტი ცუსიმამ მოაწყეს მიღება. მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წევრები, სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მსოფლიო ჩემპიონები და რეკორდსმენები, სსრ კავშირის საგარეო სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

ჭადრაკი [illegible] კიურასაოზე

პ. კერესი მესამედ ამარცხებს პ. ბენკოს

ფინიშის მოახლოვებასთან ერთად ლიდერები მეტი გაშმაგებით იბრძვიან. XX ტურში, 10 ივნისს, კერესი კვლავ ჩინებულად ეთამაშა ბენკოს. საბჭოთა გროსმაისტერმა მას მესამედ დააყრევინა ფარ-ხმალი. მართალია, გელერს ამ დღეს არ დაუმთავრებია პარტია ტალთან, რომელშიც შესანიშნავად თამაშობდა, მაგრამ მისი გამარჯვება გადადებულ პარტიაში ეჭვს არ იწვევს.

პეტროსიანს და ფიშერს არ უცდიათ თამაშის გართულება. ამიტომ მათი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

დაუმთავრებელი დარჩა კორჩნოი-ფილიპის პარტია, რომელშიც საბჭოთა გროსმაისტერს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა.

III წრე

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	I წრე	II წრე	III წრე	IV წრე
ვ. კორჩნოი (სსრკ)	1	■	0	0	1/2	*	*		0	5	3		
ტ. პეტროსიანი (სსრკ)	2	1	■	1/2	*	1/2		1/2	1/2	4	5		
პ. კერესი (სსრკ)	3	1	1/2	■	1		1	1	1/2	4	4 1/2		
პ. ბენკო (აშშ)	4	1/2	*	0	■	1/2	1	1/2		3 1/2	2 1/2		
რ. ფიშერი (აშშ)	5	*	1/2		1/2	■	1	1/2	1/2	3	4		
მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია)	6	*		0	0	0	■	1/2	0	2 1/2	1 1/2		
მ. ტალი (სსრკ)	7		1/2	0	1/2	1/2	1/2	■	*	2	2 1/2		
ე. გელერი (სსრკ)	8	1	1/2	1/2		1/2	1	*	■	4	5		

მკითხველთა წერილები

რად დაუკარგეს ნაშრომი?

რედაქციაში შემოსულ კორესპონდენციათა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო გეგეჭკორის რაიონის, თამაკონის საშუალო სკოლის მოსწავლეების ბ. ხვიჩიასა და ჯ. გოროზიას ჯერ კიდევ ბავშვური, ჩამოუყალიბებელი ხელით ნაწერმა წერილმა.

თამაკონის საშუალო სკოლის მოსწავლეებს უყვართ ფეხბურთი, მაგრამ მოედნის უქონლობის გამო იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მეზობელი სოფლების სტადიონებზე ეპიზოდური თამაშით, რადგან სკოლა ფართობის სივიწროვეს განიცდიდა, დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე მ. აბაკელია) კი უყურადღებოდ ტოვებდა ახალგაზრდობის ყოველგვარ თხოვნას სტადიონისათვის საჭირო ადგილის გამოყოფაზე.

სპორტის სიყვარულმა თავისი გაიტანა. ბავშვებმა გადაწყვიტეს საკუთარი ინიციატივით მოეწყოთ მოედანი და იერიში მიიტანეს მდინარე ტეხურას ნაპირას მდებარე ჭაობიან ადგილზე, რომელიც გამოუყენებელი იყო და ბაყაყთა სამფლობელოდ გადაქცეულიყო.

ამ ადგილზე გამავალი მდინარის ტოტი და პატარა ღელე შრომატევადი სამუშაოების წინაშე აყენებდა პატარებს, მაგრამ ამას არ შეუშინებია ისინი, საკუთარი სტადიონის შექმნის სურვილმა ძალები გაუორკეცა მათ და მუხლებამდე ჭაობში ჩაფლულნი, მასწავლებელ ა. სხულუხიას ხელმძღვანელობით სანტიმეტრობით აშრობდნენ ჭაობის საწრეტ არხს.

დაუზარელი შრომის წყალობით მოსწავლეებმა 150 მეტრამდე სიგრძისა და ერთი მეტრი სიღრმის არხი გათხარეს, რომელმაც ჭაობის წყალი შეიწრიტა, მაგრამ ბავშვთა შრომის ნაყოფი მიმზიდველად ეჩვენა კოლმეურნეობის გამგეობას და დამშრალ ადგილზე ფეხბურთელების მაგივრად ბრიგადირი თ. სართანიას ტრაქტორმა გაინავარდა.

ბავშვები ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდნენ მათი ნაოფლარის გადახვნას, ადგილს, რომლის გამოყენება სათეს ფართობად მანამდე არასოდეს მოსვლია აზრად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

წერილს ორი მოწაფე აწერს ხელს, მაგრამ მათ უკან სოფლის მთელი ახალგაზრდობა დგას, რომლის სურვილს და კანონიერ მოთხოვნებს არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს კოლმეურნეობის გამგეობამ და სოფლის თავკაცობამ.



✦

პოლონეთში საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გამგზავრების წინ თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა საკონტროლო მატჩები ჩაატარეს მოსკოვის უძლიერეს გუნდებთან. ამ სურათებზე აღბეჭდილია მოსკოვის „ტრუდთან" თამაშის მომენტები. მარცხნივ — კარში ურტყამს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო „ბომბარდირი" ჯ. ცერცვაძე, მარჯვნივ — გარღვევაზეა ბ. კოპალეიშვილი.

ფოტო ვ. ტუტოვისა

✦

წინ III სპარტაკიადაა

როგორ ვემზადებით დიდი კომპლექსური ღონისძიებისათვის

ტრადიცია უნდა განმტკიცდეს

სპორტის სხვა სახეობათა შორის სასტენდო სროლას ერთი წამყვანი ადგილთაგანი უკავია. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს და რა თქმა უნდა, ამ წერილში მის სათავეებზე შეჩერებას არ ვაპირებთ, ვინაიდან ახლა დღის წესრიგში დგას მისი შემდგომი განვითარება და არა არქივებში ქექვა, მითუმეტეს, რომ სასტენდო სროლა ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შედის და შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლა გვავალებს აქედანვე ვამზადოთ გუნდი.

რა პერსპექტივები გვაქვს რესპუბლიკაში, როგორ ემზადებიან ჩვენი მესტენდურეები?

ჩვენ კარგი ტრადიციები გვაქვს ამ სახეობაში. წარსულში, როცა რესპუბლიკაში არ იყო სათანადო ბაზები, მაღალხარისხოვანი ინვენტარი, თბილისელი სპორტსმენები ენერგიული, მონდომებული შრომით ახერხებდნენ წარმატებით გამოსულიყვნენ საკავშირო სარბიელზე. შემდგომში გამოჩნდნენ სასტენდო სროლის მოყვარულები სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, მახარაძეში და სხვაგან.

სასტენდო სროლას იმ დროიდან სათავეში უდგას საქართველოს მონადირეთა კავშირი და უფრო გვიან — ამიერკავკასიის სამხედრო მონადირეთა საზოგადოებაც. ახლა მხოლოდ მათი აღზრდილებისაგან შედგება რესპუბლიკური ნაკრები. კარგად მუშაობს აფხაზეთის ორგანიზაცია, რომელმაც აღზარდა ოსტატები გ. ნოდია, ა. ოვსეპიანი, ი. ცომაია, კ. დარახელია, ბ. ხევალევიჩი.

ქებას იმსახურებენ მახარაძელი ენთუზიასტებიც. ახლა აქ 4 ოსტატია — ბ. მეგრელაძე, რ. ჩიგოგიძე, ვ. კეკელიძე და ნ. ურუშაძე, რომელთაგან პირველი უკვე 10 წელია საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრია.

სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით აჭარისა და ქუთაისის ორგანიზაციებზე. აჭარის მონადირეთა კავშირი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს სასტენდო სროლის განვითარებას, უპატრონოდაა მიტოვებული ბაზა, იშვიათად ეწყობა ვარჯიში, რის გამოც მათს ერთადერთ ოსტატ ჟ. შუმილინსაც კი ხშირად უჭირს პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება.

რაც შეეხება ქუთაისს, აქ ორი ათეული წლის განმავლობაში ერთი ოსტატიც კი არ მომზადებულა, რომელიც რესპუბლიკას გამოადგებოდა საკავშირო სარბიელზე. ქუთაისელ მესტენდურეებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც ვერ ვხედავთ. ასე იყო, მაგალითად აპრილში გამართულ საქართველოს უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრებაზე, როცა ქუთაისელებმა თავი არ შეიწუხეს გუნდის მივლინებით.

მაგრამ საქართველოში სასტენდო სროლის განვითარების ცენტრს მაინც თბილისი წარმოადგენს და უნდა ითქვას, რომ ყველაფერი წესრიგში არც აქაა. რესპუბლიკურ მონკავშირს საკმაოდ კარგი ბაზა აქვს სამი „ადგილიდან" და ორი „მრგვალ სტენდზე" სასროლი მოედნით, ხოლო სამხედრო მონადირეთა საზოგადოების განკარგულებაშია ერთი „ადგილიდან" და ერთიც „მრგვალ სტენდზე" სასროლი მოედნები. თუ ფინანსურ შესაძლებლობასაც გადავხედავთ, აქაც უპირატესობა პირველთა მხარეზეა, მაგრამ შედეგები სულ სხვაზე მეტყველებს. იყო დრო, როცა „მონკავშირის" მესტენდურეები თბილისის გუნდურ შეჯიბრებებზე საგრძნობი უპირატესობით უგებდნენ სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენებს, ახლა კი ყველა სადავემ ამ უკანასკნელთა ხელში მოიყარა თავი.

მიზეზის საძებნელად შორს წასვლა არაა საჭირო. „მონკავშირმა" ხელი აიღო სერიოზულ მუშაობაზე, უყურადღებოდაა მიტოვებული სტენდი, რომელიც თანდათან გამოდის მწყობრიდან. სამიზნეთა სატყორცნი დანადგარები შეკეთებას საჭიროებენ. იგი საჭირო სისწრაფით ვერ აწვდის სამიზნეს ან დაზიანებულ სამიზნეებს უშვებს, რაც შეჯიბრების მონაწილეთ აიძულებს რამდენჯერმე მოითხოვონ ერთი და იგივე სამიზნე. ამგვარი შეუწყნარებელი მიზეზების გამო უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის „მონკავშირს" არც ერთი ახალი ოსტატი არ მოუმზადებია და იმედებს ვეტერანებზე ამყარებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ შევსებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში სასტენდო სროლის განვითარების პროცესში მხოლოდ ორი მესტენდურე ქალი აღიზარდა. მათგან ერთი ოსტატია — ე. მელიქიშვილი და მეორე — პირველთანრიგოსანი — ს. ციციშვილი, მაშინ, როცა მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში საქმე ამ მხრივ გაცილებით უკეთესადაა. თუ გავიხსენებთ, რომ ე. მელიქიშვილი ქალთა საკავშირო ნაკრების წევრია და მონაწილეობას მიიღებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში, ნათელი გახდება თუ რა პოტენციური შესაძლებლობანია გამოუყენებელი, როცა არ ვზრუნავთ სპორტის ამ სახეობაში ქალთა მიზიდვისათვის.

კიდევ ერთი ფაქტის შესახებ, რაც ხელს უშლის ჩვენს რესპუბლიკაში სასტენდო სროლის შემდგომ განვითარებას და ნაკრები გუნდის გადახალისებას. მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ყოველ სპორტულ ღონისძიებას ინტერესს უკარგავს მსაჯობის არასწორი ორგანიზაცია, რასაც სამწუხაროდ, ადგილი აქვს სასტენდო სროლაშიც. ვერ ვიტყვით, რომ მსაჯები არ მოიძებნებოდეს რესპუბლიკაში, მარტო თბილისში მათი რიცხვი 50-მდეა, შეჯიბრებაზე კი ცხადდება სულ 4-5 მსაჯი. წესით, ყოველ სერიაზე უნდა მსაჯობდეს 5 მსაჯი. შეჯიბრების პროცესში ზოგჯერ სერიათა რაოდენობა 50-60-ს აღწევს და ცხადია 4-5 მსაჯი არ არის საკმარისი, ამიტომ მსაჯთა მოვალეობას ხშირად თვით მსროლელები ასრულებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

და ბოლოს, როცა სასტენდო სროლაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების საქმიანობას. წარსულში „დინამოსა" და „ლოკომოტივს" საუკეთესო მესტენდურეები ჰყავდათ, მაგრამ მათი წვრთნისათვის თავს არავინ იწუხებდა. მაშინ სპორტსმენებმა თავშესაფარი „მონკავშირში" მოძებნეს. რაც შეეხება „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „განთიადის", „კოლმეურნის" საბჭოებს, მათ არასოდეს ჰყოლიათ მესტენდურეები და არც ფიქრობენ ამ სახეობის დანერგვას.

როგორც ხედავთ, საქართველოს მესტენდურეთა საქმიანობაში ბევრი ნაკლოვანებაა. მათი დაძლევისათვის საჭიროა მონდომება, შეთანხმებული მუშაობა, ზემდგომი ორგანიზაციების დახმარება და საქართველოს მესტენდურეები თავს დააღწევენ ჩავარდნას.

ტ. კაპანაძე,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

რომ შემდგომში გავითვალისწინოთ

ამ წერილის დაწერა მაიძულა ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურეთა წარუმატებლობამ რიგაში გამართულ უძლიერესთა საკავშირო შეჯიბრებაზე, სადაც მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. შეჯიბრების ადგილზე 8 დღით ადრე ჩავედით და მხოლოდ 4 დღე დაეთმო ვარჯიშებს. ცნობილია, რომ საქართველოს სტენდებთან შედარებით რიგის სტენდზე გაცილებით მეტია სამიზნეთა ფრენის სისწრაფე და მეტად დაბალი მხედველობა. ალბათ ამიტომ მრგვალ სტენდზე მსროლელები გამოვიდნენ მე-11 ადგილზე. განსაკუთრებით ცუდად გამოვიდა ოსტატი სიმონიანი, რომელმაც ჩასათვლელი პირველი თანრიგის შედეგის ჩვენებაც ვერ შეძლო.

მაგრამ ჩემის აზრით, ამ წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო რიგის სტენდზე, არამედ აქვე, ჩვენთან. რესპუბლიკის ნაკრები თავიდანვე არასწორად იყო დაკომპლექტებული. შეკრებაზე აყვანილ იქნა ზუსტად იმდენი სპორტსმენი, რამდენიც რიგაში უნდა გამგზავრებულიყო, რითაც უძლიერესთა შერჩევის ყოველგვარი საშუალება მოსპობილი იყო. ეს თვითკმაყოფილებას იწვევდა შეკრებაზე მყოფ ზოგიერთ სპორტსმენში, რომლებიც წვრთნას უგულოდ ეკიდებოდნენ.

საწვრთნელი შეკრებისადმი ამგვარი მიდგომა ხელს უშლის ახალი, ძლიერი მსროლელების შერჩევას, გზას უკეტავს ახალგაზრდობას, უარყოფით დაღს ასვამს საერთო შედეგებსაც. ეს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი შეცდომა არ გამეორდეს მომავალში.

კ. დარახელია,

სპორტის ოსტატი.

6 სახეობაში

ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპარტაკიადა, რომელიც მიმდინარე წელს მეორედ ჩატარდა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და სროლა.

სპარტაკიადაში სპორტის სახეობათა მიხედვით გამარჯვებულნი გამოვლინდნენ: ფეხბურთში — გეოლოგიის ინსტიტუტი, კალათბურთში — სამთო საქმის ინსტიტუტი, ფრენბურთში და მაგიდის ჩოგბურთში — მეტალურგიის ინსტიტუტი, ჭადრაკში — გამოთვლითი ცენტრი, ტყვიით სროლაში — გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტი.

სპარტაკიადაში 22 ქულით I ადგილი დაიკავა გეოლოგიის ინსტიტუტის ძლიერმა კოლექტივმა (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე დ. ახვლედიანი). 8 ქულით უარესი შედეგი ჰქონდა ფიზიკის ინსტიტუტს (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე გ. ლოლაძე). მესამე ადგილზეა გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჯაჯიშვილი) — 32 ქულა.

გეოლოგიის ინსტიტუტის ფიზკულტურულ კოლექტივს გადაეცა გარდამავალი თასი.

გ. ფირცხალაიშვილი

ახალი სახელები

ბათუმში, სახელმწიფო ცირკის შენობაში, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონატმა 75 სპორტსმენი და 8 გუნდი — თბილისის, გორის, კასპის, მცხეთის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავისა და საგარეჯოს მოჭიდავეთა კოლექტივები — მიიზიდა. ეს ციფრობრივი მაჩვენებლები თითქმის დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ საკითხს, მათ იქით საკმაოდ სერიოზული ხარვეზები იმალება. რატომ არ მიიღეს მონაწილეობა ჩემპიონატში ქართულ ჭიდაობაში მდიდარი ტრადიციების მქონე ახმეტის, სამხრეთ ოსეთის, თელავის, წითელწყაროსა და სხვა რაიონის გუნდებმა? რატომ არ მიიღეს მონაწილეობა ორთაბრძოლებში გორელებმა დ. ბერუაშვილმა, ა. ქიბროწაშვილმა, ბ. ბაღაკაშვილმა, თბილისელებმა ა. კიკნაძემ, ზ. და ფ. ჩიქვილაძეებმა და სხვებმა?

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

★

ყოველივე ამით არა მარტო დაქვეითდა ჩემპიონატის დაძაბულობა, არამედ გარკვეულწილად შენელდა მისდამი ინტერესიც, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ აღნიშნულმა მოჭიდავეებმა უმტყუნეს თავიანთ გუნდებს, არად ჩააგდეს მათი ინტერესები, ხოლო ის გარემოება, რომ გუნდები ნამდვილად დაზარალდნენ თავიანთი პოტენციალური წევრების უგულისყუროზით, ბევრ მტკიცებას არ საჭიროებს.

პირველი ადგილი გუნდურ ჩათვლაში მოიპოვა კასპის რაიონის ნაკრებმა, რომელიც თითქმის ყველა წონითს კატეგორიაში თანაბარი, ძლიერი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. 22 საჯარიმო ქულით (კასპელთა კოლექტივზე ერთით მეტი) დათმო უძლიერესის წოდება თბილისის გუნდმა. ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად უნდა ჩაითვალოს მასპინძელთა დიდი წარმატება. ბათუმელმა მოჭიდავეებმა გადაუსწრეს ძლიერ მეტოქეებს და მოიპოვეს მესამე საპრიზო ადგილი.

მოულოდნელობებს, სასიამოვნო სიურპრიზებს ჰქონდათ ადგილი ჩემპიონატის პირად ჩათვლაშიც. საკმარისია ითქვას, რომ რამდენიმე წონითს კატეგორიაში ჩემპიონთა შორის პირველად გამოჩნდნენ ახალი სახელები. უმძიმესი წონის მოჭიდავე კასპელი ვ. ვეფხვაძე, მართალია, უკვე 3-4 წელია გამოდის რესპუბლიკის პირველობებზე, მაგრამ ასეთი დიდი გამარჯვება — საქართველოს ჩემპიონის წოდება — მან პირველად მოიპოვა. ბრძოლა კი ამ უმაღლესი ტიტულისათვის მეტად მძიმე იყო. მისკენ მიმავალ გზაზე ვ. ვეფხვაძე იძულებული გახდა დამარცხების სიმწარეც კი ეგემნა ბათუმელ გოგიჩაიშვილთან ორთაბრძოლაში, მაგრამ ამ უკანასკნელის დამარცხებებმა თბილისელ ბუკულოვთან და სოხუმელ წურწუმიასთან და რაც მთავარია, საკუთარმა გამარჯვებებმა საშუალება მისცა მას წინ გაჭრილიყო.

მომდევნო წონითს კატეგორიაში გამართული ბრძოლები ახალგაზრდა, მზარდი ოსტატის რ. ლომსაძის გამარჯვებით აღინიშნა. გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ ამ გამარჯვებების მოპოვებაში მას განსაკუთრებით დაეხმარა ისეთი რთული და ეფექტური ილეთის კარგად ფლობა, როგორიცაა კისრული. ამ ფანდის და საერთოდ მრავალმხრივი ტექნიკის მეოხებით რ. ლომსაძემ რამდენიმე წმინდა გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის მეორე პრიზიორთან — კასპელ ბალხამიშვილთან (1 წუთში), მესამე ადგილზე გამოსულ თბილისელ იმხანიშვილთან (2 წუთსა და 12 წამში), აგრეთვე საგარეჯოელ ოთარაშვილთან, გორელ გერმანაშვილთან და მაისურაძესთან.

ძნელი იყო წინასწარვე გაგენსაზღვრათ გამარჯვებული ქვემსუბუქ წონაში. აქ თავიდანვე დაჟინებით მიიწევდა წინ რუსთავის გუნდის წარმომადგენელი — ჯანგობეგოვი. მან, ჯერ იყო და, დამაჯერებელი გამარჯვებით გზიდან ჩამოიცილა ისეთი ძლიერი მეტოქე, როგორიცაა სპორტის ოსტატი საგარეჯოელი მ. ელერდაშვილი, ხოლო შემდეგ თანმიმდევრულად მოუგო დორეულს (მცხეთა), ნახუცრიშვილს (თბილისი), ნავროზაშვილს (კასპი) და გაროზაშვილს (ბათუმი). გადამწყვეტი შერკინება მას მოუხდა თბილისელ ა. მარტყოფლიშვილთან, რომელიც ასევე დაბეჯითებით მიიწევდა ფინალური ბრძოლისაკენ. ეს დაძაბული შეხვედრა დამთავრდა ა. მარტყოფლიშვილის გამარჯვებით, რამაც მას ჩემპიონის წოდება მოუტანა. მესამე ადგილზე აქ გამოვიდა ბათუმელი გაროზაშვილი.

გორელი მოჭიდავეების შ. რომელაშვილისა და ა. ოდიშვილის, აგრეთვე კასპელი ა. ვარდოშვილის გამარჯვებები შესაბამისად მსუბუქ, ქვესაშუალო და მძიმე წონითს კატეგორიებში, რა თქმა უნდა, არავითარ მოულოდნელობებს არ წარმოადგენდა და თვით ეს გამოცდილი, მაღალტექნიკური მოჭიდავეებიც არ საჭიროებენ ზედმეტ დახასიათებას. მათ დამაჯერებლად განვლეს ტურნირი და კანონზომიერადაც მოიპოვეს უძლიერესთა წოდებანი. საინტერესოა აღინიშნოს მხოლოდ, რომ მძიმე წონაში, ფინალურ შეხვედრაში, ჩემპიონის წოდებაზე ა. ვარდოშვილს ედავებოდნენ... მისივე ძმა ლ. ვარდოშვილი (კასპი) და მამიდაშვილი შ. პაპუაშვილი (რუსთავი) და რომ სამივე საპრიზო ადგილი ამ წონითს კატეგორიაში „ნათესაურად" განაწილდა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში კერძოდ, საშუალოსა და ქვემძიმეაში — წარმატება ხვდათ წილად შ. გულიაშვილსა (თბილისი) და ლ. ჯაფარიძეს (სამგორი). განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელის შემტევი, აგრესიული სტილი, რომელსაც იგი არ ღალატობს არცერთ შემთხვევაში. ეს სტილი დაფუძნებულია მოჭიდავის დიდ ფიზიკურ ძალაზე და კარგ ტექნიკაზე, რამაც ლ. ჯაფარიძეს საშუალება მისცა დაწინაურებულიყო ისეთ ძლიერ მეტოქეთა შორის, როგორიცაა გორელი ყაჩმაზაშვილი, კასპელი კულიჯანოვი და სხვები.

დასასრულს, არ შეიძლება არ აღინიშნოს საჭიდაო სარბიელის ცუდი, ყოვლად დაუშვებელი ორგანიზაცია: ჯერ იყო და მისი ფართობი — 6×6 მ — ვერ პასუხობდა ქართული ჭიდაობისათვის გათვალისწინებული სარბიელის ვერავითარ მოთხოვნებს, შემდეგ მდგომარეობა ვითომ გამოსწორდა — ასპარეზის სიგრძე გაზარდეს 8 მეტრამდე, ხოლო სიგანე... იგივე დატოვეს. როგორც იტყვიან, კომენტარები სრულიად ზედმეტია.

შ. ზუკაკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

გუშინ შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

მოსკოვის „ლოკომოტივმა" მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი. მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა" — 3:0.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი" და ალმა-ატის „კაირატი". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

[illegible]

საქართველოს მოსწავლეთა XIV სპარტაკიადა

✦

მძლეოსნობა

გასული წლის მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე, ბათუმში შუბის მტყორცნელ გოგონათა შორის მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა ლენტეხელმა ციალა ლიპარტელიანმა. მაშინ მის მიერ ნატყორცნი შუბი 32 მ 94 სმ-ზე დაეცა, ახალი სასწავლო წლიდან მეცადინეობა და ვარჯიში ლიპარტელიანმა თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატში დაიწყო ვ. ვდოვინის ხელმძღვანელობით. გოგონამ 10 თვის განმავლობაში საგრძნობ წარმატებას მიაღწია. იგი ყოველ ვარჯიშზე აუმჯობესებდა პირად შედეგებს და სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს VIII-კლასელმა გოგონამ შუბი გაგზავნა 42 მ 06 სმ-ზე. ეს გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდია, რომელიც ერთადერთი იყო ამ შეჯიბრებაზე.

ქებას იმსახურებს აგრეთვე წითელწყაროელი დ. ქოჩიაშვილი, ჭაბუკთა შორის შუბის ტყორცნაში მან ჯერ კიდევ წინასწარ შეხვედრებში ხელთ იგდო ლიდერობა, ხოლო ფინალში აჩვენა 55.51 მ და გაიმარჯვა.

80 მ თარჯრბენში წარმატებით გამოვიდა ჭიათურის გუნდის წევრი მ. ოგანესიანცი — 12,1 და 0,1-ით გადააბიჯა მეორე თანრიგის შედეგს. დებმა გეგეჭკორიდან მზია და აზა გაბუნიებმა ერთნაირი შედეგი — 12,5 აჩვენეს და შესაბამისად მოიპოვეს მეორე და მესამე ადგილები. ბევრს გვპირდება გოგონათა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ქუთაისელი ი. შოვნაძის ტექნიკური მომზადება. მან 150 სმ დაძლია დიდი მარაგით. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მალე ჩადგება რესპუბლიკის წამყვან მხტომელთა რიგებში.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: **გოგონები** — რბენა 200 მ — მ პაპიაშვილი (ქუთაისი) — 25,9; 400 მ — ნ. შიშკოვა (ქუთაისი) — 1.00,7; ესტაფეტა 4×100 მ — აფხაზეთი — 51,9. **ჭაბუკები** — 200 მ — ა. ანტონოვი (თბილისი) — 23,6; 400 მ — გ. დუმბაძე (თბილისი) — 53,3; 800 მ — ო. კობჩიკი (თბილისი) — 2.04,9; ესტაფეტა 4×100 მ — (თბილისი) — 44,4; ჭოკით ხტომა — ვ. ჩიტაიშვილი (თბილისი) — 3.40 მ; სამხტომი — ვ. გულიევი (თბილისი) — 14.14 მ; რვაჭიდი — შ. ხოხიაიძე (ახმეტა) — 4.055 ქ.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 24.488, აფხაზეთი — 18.685, აჭარა — 13.910.

მეორე ჯგუფში: ახმეტა — 6.282, ონი — 5.198, მახარაძე — 5.160.

□

ცურვა

მთელი შეჯიბრების პროცესში ყველაზე ამაღელვებელი იყო გოგონათა შეჯიბრება კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე, სადაც ძირითად კონკურენტებად თბილისელები ი. ამნიაშვილი და ლ. ბერძენიშვილი მიაჩნდათ, ამასთან გამარჯვებას პირველს უწინასწარმეტყველებდნენ. სტარტიდან დაწინაურდა ამნიაშვილი, იგი 200 მეტრზე ლიდერობდა, მაგრამ, როცა მონაწილეები გადავიდნენ ბრასის სტილით ცურვაზე, აშკარა გახდა ბერძენიშვილის სიძლიერე. მან არა მარტო გამოასწორა ჩამორჩენა, არამედ ახლა თვითონ დაწინაურდა. უკანასკნელ 100 მეტრში, როცა კონკურენტები თავისუფალი სტილით ცურვაზე გადავიდნენ, კვლავ იჩინა თავი ამნიაშვილის უპირატესობამ. მან მართალია გამოასწორა ჩამორჩენა, მაგრამ წინ გასვლა ვედარ შეძლო და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ბერძენიშვილის შედეგია 6.46,2, ლ. ბერძენიშვილი უძლიერესი იყო 100 და 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაშიც — 1.14,8 და 6.01,5 შესაბამისად. ვაჟთა კომპლექსურ ცურვაში აშკარა იყო კ. ანისიმოვის უპირატესობა — 6.09,7.

მხოლოდ 2-2 მონაწილე გამოვიდა ჭაბუკთა ფინალურ გაცურვებში 200 მ ბატერფლაით და 200 მ ზურგზე ცურვაში. ბატერფლაით 200 მ ცურვა ადვილად მოიგო თბილისელმა ვ. სანაძემ — 2.50,9, ხოლო 200 მ ზურგზე ცურვა — ა. მგელაძემ — 2.51,8.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: **გოგონებში** — 200 მ ბრასით — ზ. ბაბენკომ (თბ) — 3.26,3; 100 მ ზურგზე — ა. კონდრინამ (თბ) — 1.32,7; 100 მ ბატერფლაით — ე. დემიდოვამ (თბ) — 1.33,8. კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ — თბილისის II გუნდი (ნ. ჭუმბაძე, ნ. ალექსეევა, ე. ლიბრაძე, ი. ამნიაშვილი) — 5.41,8.

ჭაბუკები: თავისუფალი სტილით 100 მ — ი. ოსიკა (თბ) — 1.03,6; 400 და 1.500 მ — ვ. ზლობინი (თბ.) — 5.18,2 და 22.19,2; 200 მ ბრასით — ი. ზიბროვი (თბ.) — 3.02,5.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა მოსწავლეებმა.

გაზეთ „ლელოს" ბრიგადა.

* * *

სურათზე: საქართველოს რეკორდსმენი გოგონათა შორის შუბის ტყორცნაში ც. ლიპარტელიანი შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გარინჩა თავს იფასებს

ბრაზილიელი ფეხბურთელი გარინჩა, რომელსაც მსოფლიოს უძლიერეს მარჯვენა გარემარბად თვლიან, მომავალი სეზონიდან ტურინის „იუვენტუსში" ითამაშებს. ეს დაამოწმა თვით გარინჩამ, რომელმაც ინტერვიუ მისცა სანტ-იაგოს ჟურნალ „ერ მერკურიოსს" კორესპონდენტს. მაგრამ ჟურნალის ამ ნომერმა დღის სინათლე ვერ ნახა, რომ გარინჩამ უარყო თავისი ნათქვამი. „მართალია, — სთქვა გარინჩამ, — რამდენიმე ევროპულმა გუნდმა მომცა წინადადება, მაგრამ მე არცერთისათვის თანხმობა არ მიმიცია. სულ ახლახან 3-წლიანი კონტრაქტი დავდე „ბოტაფოგოსთან". ამ საკითხს რასაკვირველია გადაწყვეტს ჩემი გუნდის ხელმძღვანელობა. მე სიამოვნებით ვითამაშებდი ევროპის რომელიმე გუნდში. ეს დამოკიდებულია შემოძლეულ თანხაზე, რომელსაც „ბოტაფოგო" გაიღებს და სხვა გუნდების ხელშეკრულებათა პირობებზე.

როგორც ჩანს, გარინჩამ გადაწყვიტა ისარგებლოს მომენტით და მაღლა ასწიოს თავისი ფასი.

მეოთხედფინალის მატჩები

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა ფეხბურთელები მიემგზავრებოდნენ ჩილში, გაზეთ „იზვესტიას" ყოველკვირეულ დამატება „ნედელიაში" გამოქვეყნდა ფეხბურთის მოყვარულის წერილი. ქ. უფადან. ზეინკალი ნ. ლეონტიევი სანაძლეოს დებდა მთელს ჩვენს ნაკრებთან მეოთხედფინალის თაობაზე აი ეს წერილიც:

„ძალზე გთხოვთ გააცნოთ ჩემი წერილი ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებიან ჩილში. მე ვამბობ, რომ ჩვენი გუნდი ვერ გავა მეოთხედფინალში. თუ ჩემი პროგნოზი გამართლდა, ნაკრების მოთამაშეებმა უნდა მაჩუქონ ფეხბურთის ბურთი თავიანთი ავტოგრაფებით. თუ კი ჩვენი გუნდი მაინც გავა 8 უძლიერესს შორის, ვალდებულებას ვიღებ 11 ძირითად მოთამაშეს გავუკეთო კარგი საჩუქარი.

არა გჯერათ? მე სავსებით სერიოზულად ვლაპარაკობ. სანაძლეოს ვუდებ მთელ ნაკრებს.

ნიკოლოზ ლეონტიევი".

თუ სიტყვასიტყვით ვილაპარაკებთ დადებულ სანაძლეოზე, ნ. ლეონტიევი წაგებულია და დროა გაამზადოს 11 საჩუქარი. მაგრამ ზეინკალმა მიახლოებით მაინც გამოიცნო, რომ ჩვენი გუნდი გამოეთიშებოდა შეჯიბრებას.

ეს იყო, ასე ვთქვათ, ადრეული პროგნოზი. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და საბჭოთა ფეხბურთელები მოხვდნენ მეოთხედფინალში. სადაც მათი მოწინააღმდეგე გახდა ჩილის გუნდი. ამ მატჩის წინ ჩვენმა კორესპონდენტებმა შეკითხვა მისცეს ჩილის ნაკრების მწვრთნელს ფერნანდო რიერას. მან ასეთი პასუხი გასცა: „საბჭოთა გუნდი პირველად მე ვნახე შარშან მოსკოვში სსრ კავშირისა და ნორვეგიის მატჩში. შემდეგ ჩვენ შევხვდით ჩილში საბჭოთა ფეხბურთელთა მოგზაურობისას სამხრეთ ამერიკაში. სხვა სიტყვებით ჩვენ უცნობები აღარ ვართ. მე ვფიქრობ, რუსეთის ნაკრები დაუმარცხებელი არაა. წარმატების იმედი გვაქვს".

საბჭოთა ფეხბურთელები მინდორზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით — იაშინი; ჩოხელი, მასლიონკინი, ოსტროვსკი; ვორონინი, ნეტო; ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, მამიკინი, მესხი. ჰოლანდიელი მსაჯის ჰორნის სასტვენის ხმაზე თამაში დაიწყო. ბრძოლამ თავიდანვე უაღრესად დაძაბული ხასიათი მიიღო. პირველი ურთიერთიერიშების შემდეგ მე-10 წუთზე საბჭოთა გუნდის მხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა 25 მეტრიდან. ჩილელთა საუკეთესო თავდამსხმელმა ლ. სანჩესმა ძლიერად დაარტყა და იაშინმა ვერ შეძლო ბურთის აღება — 1:0.

27-ე წუთზე საბჭოთა ფეხბურთელებმა გაათანაბრეს ანგარიში. ეს ასე მოხდა: მესხი სწრაფად გავიდა თავის ფლანგზე და ზუსტად მიაწოდა პონედელნიკს. ამ უკანასკნელის დარტყმა უკუგდებულ იქნა, მაგრამ ბურთს მოუსწრო ჩისლენკომ და ბადეში გაგზავნა იგი — 1:1.

მატჩის დაძაბულობა და სიმწვავე სულ უფრო მატულობდა. მალე ჩილის ნაკრების ნახევარმცველი ე. როხასი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა მინდვრის შუაგულში და 35 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. იაშინი არ აღმოჩნდა მზად ბურთის ასაღებად და მეორე გოლი გაუშვა — 1:2.

გუნდები ამ ანგარიშით წავიდნენ შესვენებაზე. მეორე ტაიმი საბჭოთა ფეხბურთელებმა მძლავრი იერიშებით დაიწყეს. ინიციატივა უმეტესად მათს მხარეზე იყო, მაგრამ ჩილელებმა გააძლიერეს დაცვის ხაზები და უნარიანი ურთიერთმოქმედებით შეძლეს მოწინააღმდეგის ყველა იერიშის მოგერიება. მატჩი დამთავრდა ჩილის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 2:1. საბჭოთა ფეხბურთელები გამოეთიშნენ გათამაშებას.

სპეციალისტების აზრით საბჭოთა გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მ. მესხი, რომელიც იშვიათი სიზუსტით მიწოდებული ბურთებით ამარაგებდა პარტნიორებს, მაგრამ ვერც მამიკინმა და ვერც პონედელნიკმა ვერ გამოიყენეს კარის აღების კარგი შესაძლებლობები.

მატჩი უმთავრესად კორექტულად ჩატარდა, მაგრამ ჩილელთა ერთ-ერთი იერიშის დროს ტრავმირებულ იქნა იაშინი, რომელმაც შემდეგში გაუშვა არც თუ ისე ძნელად ასაღები ბურთები.

მეოთხედფინალურ ეტაპის კიდევ ერთ ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა მატჩი ბრაზილიისა და ინგლისის გუნდებს შორის. ეს იყო უაღრესად დაძაბული ბრძოლა, სადაც ბრაზილიელებმა შესამჩნევად გამოავლინეს თავიანთი პოტენციური შესაძლებლობანი. მათ გახსნეს კიდეც ანგარიში, მაგრამ ინგლისელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე ტაიმში ბრაზილიელები აშკარად დომინირებდნენ მინდორზე. მათ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

არანაკლებ საინტერესო იყო მატჩი იუგოსლავიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ასევე უნაყოფო იყო ორივე გუნდის თავდამსხმელთა იერიშები მატჩის ბოლომდე, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე იუგოსლაველებმა გაიტანეს გოლი, რომელმაც მათ გზა გაუხსნა ნახევარფინალისაკენ — 1:0.

ერთმა ბურთმა გადაწყვიტა აგრეთვე უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის ბედი. მატჩის წინ ბევრნი უპირატესობას აძლევდნენ უნგრელებს, მაგრამ ჩეხებმა კვლავ ბრწყინვალედ ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

სად უკეთესია?

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა განუცხადა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს სტენლი როუზს, რომ ჩემპიონატის მატჩებზე ისე ცხარე ბრძოლებია, რომ მატჩებზე დასწრების სურვილიც არა მაქვსო.

— გარწმუნებთ, — უპასუხა პრეზიდენტმა, — უფრო უარესი ამბავია ფედერაციაში; სადაც განიხილავენ უამრავ არასასიამოვნო ფაქტებს. მე მირჩევნია ფეხბურთის მოედანზე ვიყო, რომ ცოტა შვება ვიგრძნო.



13 ივნისს შედგება ნახევარფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან ჩილი-ბრაზილია, იუგოსლავია-ჩეხოსლოვაკია.

უცხოეთის პრესაში დღემდე წერენ იმ თავაშვებულ უხეშობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში. დაშავებულ მოთამაშეთა რაოდენობამ სარეკორდო ციფრს მიაღწია.

განსაკუთრებით უხეშობდნენ იტალიელები. გარდა ამისა, ისინი არ ემორჩილებოდნენ მსაჯს და მთელ რიგ შემთხვევებში საჭირო შეიქმნა ადმინისტრაციული ზომების მიღება სტადიონზე წესრიგის დასამყარებლად. ზემო სურათზე თქვენ სწორედ ასეთ მომენტს ხედავთ. იტალიელი ფეხბურთელი მ. დავიდი პოლიციელებს გაჰყავთ მინდვრიდან.

ქვედა სურათზე ნაჩვენებია მომენტი, როცა საბჭოთა ფეხბურთელი ე. დუბინსკი მიწაზე წევს მოტეხილი ფეხით იუგოსლაველი ფორვარდის მ. მუიჩის დარტყმის შემდეგ. მას თავზე ადგანან ს. მეტრეველი (მარჯვნივ) და ვ. ვორონინი.

რედაქტორი ი. უგულავა.

15
ივნისი
„ბურევესტნიკის" სტადიონი
ფეხბურთი
„ა" კლასი
„დინამო" (თბილისი) —
„სპარტაკი" (მოსკოვი)
დასაწყისი 18 ს.
12 ივნისისათვის შეძენილი ბილეთებივარგისია 15 ივნისისათვის.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორის — 8-36-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09. გამომშვების — 8-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05767